წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. სამშაბათი ნოემბრის 7—(20) 1917

ჩვენი კვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 2 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ლარი
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური
ჭალაქ გარედან მოწერილი განცხადება ორჯერ ერთი ფასით
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 1 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახლში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 169 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 169

უზომოთ დამწუხრებული მშობლები: ტიტე და მაშურა, ბაბუები: არჩილ შავიანიძე და დიმიტრი შენრილი, ბებიები: ეკატერინე შენრილისა და მზეხა ასლანაძისა, მამიდები: იულია და ვერა, დეიდები: მარო, თამარა და სოსია შენრილები, ბიძები: ლუკა, შალვა და ნიკოლოზ უფუ-ლიათელსის მწუხარებით ეცნობებთ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 5 გიორგობისთვეს ხან-მოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაის-ში უღროეოთ დაეკარგენ

მერიკო (მარიამ) ტიტეს ასული შავიანიძე,

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია 7 გიორგობისთვეს, ნაშუადღე-ვის 3 ნახევარ საათზე, საფიჩხიის სახოგადო სასაფლაოზე. ცხედრის გამოსვენება მოხდება ლევაშოვის ქუჩა, ის. მესხის სახლიდან. ცალკე ბარათები არ დარიგდება.

გულდამწუხრებული მეუღლე ივანე (ვანო) ცქიტიშვილი შვილებით: მიტუშა და თამარა, დები: ალექსანდრა ბაქრაძისა, მიიკო გუნცაძისა, პელაგია გურგენიძისა, ანასტასია და ელისაბედ, ძმები: ნიკოლოზ და სამსონ ალავიძენი, დედამთილი მარიამ ცქიტიშვილისა, მაზლი პავლე და მეუღლე მისი ნინა ცქიტიშვილები აუწყებენ ნაცნობთა და ნაცნობთ უღროეოთ გარდაცვალებას დაუგვიანურ

ანნა (ანიჩკა) დიმიტრი ალავიძის ასულის
ცქიტიშვილისას.

რომლის გამოსვენება მოხდება სამშაბათს 7 ნოემბერს, არქიელის გო-რაზე, საკუთარ სახლიდან წმინდა გიორგის ეკლესიაზე ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ვარდენ ბიჭიაშ ძე, იულია ივანეს ასული, ძმა ვარლამ, დები ლიზა, ლიუდმინა და ვერონიკა, ბიძები აპა-ლონ ბიჭიაშ ძე და გრიგოლი ივანეს ძე, ბიცოლეები ნატალია მიხეი-ლის ასული და ელენე გიგოს ასული, ბიძაშვილები გრიგორი, და ალე-ქსანდრა აპალონის ძე და ასული ყიფიანები, დეიდა ივლიტე ივანეს ასული, ბიძა დიმიტრი სვიმონის ძე, ძე და ასული მათი ვასილი და სენიკო გაბუნიები, აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ უღროეოდ გარდაცვალებას

ალექსანდრა (ოგიეე ფაცქანა) ყიფიანის ასულისას,

გასვენების დღე დანიშნულია 7 ამა ნოემბერს სამშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე (ძველი დროით), პუშკინის ქუჩაზე, ხაინდრავას სახლიდან.

ქვრივი მინადორა ვასილის ასული ქუთათელაძისა, იპოლიტე, იოველ, ქრისტეფორე და ბაბო გრიგოლის ძენი ქუთათელაძეები აუწყებენ ნა-თესავთა და მეგობართ, რომ ამა წლის 25 ოქტომბერს გარდაიცვალა, პირველის უსაყვარლესი შვილი და უკანასკნელთა ძვირფასი ძმა

დორიმენდონტი გრიგოლის ძე ქუთათელაძე,

მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 7 ამა ნოემბერს, ოლა-სურის სასაფლაოზე, ნაშუადღევის 3 საათზე, ბაღის ქუჩა, საკ. სახლი

მოჯალაჯენო!

ჩაიბარეთ 7 ამ თვეს დანიშნულ პუნქტებზე პურის ბარათი. (იხილე განცხადება უბნის სასურსათო კომიტეტში) 8 ამ თვეს უბარათოთ პუ-რი არ გაიყიდება. პურის ბარათის მიღებისათვის აუცილებლათ საჭი-როა შაქრის ბარათი ანუ პასპორტი.

ჯალ. სასურ. კომიტეტი.

ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხე-დარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწორმოებს წევრად ჩაწერა და შეწი-რულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი.

საქართველოს ეროვნ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვე-ნი ქვეყნის“ რედაქციასთან.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ (წუალ-გამოღმა) უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეი-ძლება კომიტეტის ბინაზე ყოველ დღე დილის 11—2 საათამდის: თბილისის ქუჩა ქუთაისის საურთიერთო კრებლისაგან დამზღვევ საზოგადოების დარბაზში—სამსონ ბოკერიას სახლში. აქვე შეიძლება პარტიული პროგრამებისა და ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის წყალ-გამოღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შე-იძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დილის 10—1-დე და საღამოს 5—8-დე, ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი, რუსეთის 2 დამზღვევ საზოგადოების სააგენტოში. იქვე დაარსებულია სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეი-ძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხიდისთავის კომიტეტი (გურია).

ამით აცხადებს, რომ წევრათ ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეი-ძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე ქვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე პარტიის კლუბში.

ძმ. შალიკაშვილების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

სეპარის მიეიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

ექიმი ვალერიანე ვ. ლორთქიფანიძე. იღებს შინაგანი, ბავშვთა და ნერვ-ვების სნეულებათა ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 სათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, გიტიაშვილის სახლი

ექიმი ბ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 სათ. და საღ. 6—8 სათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დილის 12—2 და სა-ღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

განცხადება.

ქუთაისი, გოსპიტლის ქუჩა, ჭეიშვილის სახლი, მიხეილ კაშიას მიმართეთ ვისაც თვალები გტკივათ ანუ თეთრი გაქვთ გადაკრული, რომელმაც მე მომირჩინა თვალის ტკივილით დაბრმავებული ბავში უპატრაკიოთ. ამისათვის ვაცხადებ, ჭეშარ მადლობით და პატივისცემით ვარლამ ჯანელიძე.

დაშპარგა

ტქვსი კლასის მოწაფის წმ. ნინოს სასწავ-ლებლიდან მოცემული და მეტრიკული მოწმობა. მპოვნელს ვსთხოვ გადმომცეს მესხეთის ქუჩაზე, კანდელაკის სახლში, მინადორა კვინიხიძე ლოლობერიძისა.

იმერეთის თავად-აზნაურობის კრება.

8 ნოემბერს ქუთაისში სასწრაფოთ იკრიბება იმერეთის თავად-აზნაურობა.

როგორც მკითხველებმა უწყიან, თავა-დობას განზრახვა აქვს მთელს რუსეთში თავად-აზნაურთა **საერთო** კონება ხაზინას გადასცეს.

იმერეთის თავად-აზნაურობის საერთო კონება ვერ შეედრება თფილისისას, მაგ-რამ არც ისე მცირეა, რომ იგი უყურად-ღებოთ დატოვოთ.

ამ კონებას შეადგენს ქუთაისის საადგილ მამული ბანკი, ქუთაისის საახზაურო გიმნაზიის და სენაკის სკოლის შენობა-მოწყობილობა.

ბანკის შემოსავალი წლიურათ ეხლაც 50.000 მანეთამდე ადის და შემდეგში უტყუარი ნიშნების მიხედვით, შეეძი-ლია ვთქვათ, რომ იგი გაათკეცდება.

ქუთაისის გიმნაზია და სენაკის სკელაც ოთხას-ხუთას ათას მანეთად დაფასდება.

აი ეს კონება რომ რუსეთის საერთო ხაზინას გადაეცეს, ყოველად შეუწყნარებ-ლია და უსამართლო.

ამიტომ ეხლავე უნდა იქმნეს გამონახუ-ლი საშვალებანი, რათა აზნაურობის ეს მამული ისევ იმ ქართველ ხალხის საკუთ-რებათ დარჩეს, რომელსაც ხშირებოდა შემოსავალი ბანკისა და რომლის მოთხო-ვნილებებს ემსახურებოდა სასწავლებლები განურჩევლად წოდებისა.

თფილისის თავად აზნაურთა სასწრაფო კრებამ წარსულ კვირაში გადასწყვიტა მთელი თავისი კონება გადასცეს ქარ-თველ ერს და საქმის მოსაწესრიგებლად ინტერ-პარტიულ საბჭოს სთხოვა მოი-წვიოს ეროვნული კრება, შემდგარი სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულე-ბებისა და პარტიების წარმომადგენლო-თაგან.

იმერეთის თავად-აზნაურობაც ვერ ასცდება ამ გზას. ამას მოითხოვს, რო-გორც დადასტურება ქართველი ერის სურვილების ერთგვაროვნისა, ისე თვით მამულების კეთილად მოწესრიგებისა.

მხოლოდ იმერეთის აზნაურობა კარგს იზამდა, თუ მეტს გარანტიებს მოითხო-ვდა, რომ მისი საერთო კონება სწო-რეთ ქართველ ერს, მარტო ქართველ ერს გადაეცემა.

ამით ქართველი აზნაურობა დაამტკი-ცებს, რომ თუ წინათ ხმლითა და თოფით უღდა გვერდში მთელ ხალხს საქართველოს საზღვრების დასაცავად, თუ წინათ თვისი საერთო მამულების შემოსავალს სავსებით ახმარდა ერის საერთო საქმეებს, დღეს, როცა შესაძ-ლებელი იქნა, მასვე ძღვევს თავის ნა-ამგვეს, და ხალხმა მოუაროს, როგორც საუკეთესოდ ჩასთვლიან მისგან არჩეული პირები.

Argon.

ჩვენი გარუსება.

როდესაც ძველი რომი გაბატონდა იტა-ლიაში, სხვადასხვა შემოეწრიობელი სა-შუალებით თანდათან გაალათინა უცხო ერები: ეტრუსკები, საბინები, საბელები, ლუკანელები, ბრეტტიელები, ბერძნები და სხ. ამ საშუალებათა შორის კი უმთავ-რესი —მიწების ჩამორთმევა, ლათინთა ახალშენების გაშენება და ადგილობრივ მცხოვრებთა სამოკალაქო უფლებათა გა-უქმება იყო.

სწორეთ ამგვარადვე მოქმედობდა რუ-სეთის ბიუროკრატია ჩვენში ასი წლის განმავლობაში. შავი ზღვის ბაპირების მკვიდრნი ამყარა და მათს ნასახლარებზე რუსები დაასახლა. ქართველებს კი, რო-მელნიც გაცილებით უფრო შეეწროებუ-ლი არიან უმიწობით, აკრძალული ჰქონ-დათ არა თუ თავისუფალ სახელიწოფო მი-წებზე დასახლება, არამედ ადგილობრივ მემამულეთა მიწების შეძენაც.

კიდევ უფრო განმაღგენებელი გვა-ლენა ჰქონდა ბიუროკრატიული მართვა-გამგეობის წესრიგს ქართულის ჩაცვლად რუსული სასამართლო, რუსული ადმი-ნისტრაცია, რუსული სააგინანსო დაწესე-ბულებანი, რუსული სასწავლებლები, რუ-სული თვითმართველობები დაგვიარსეს. და, რომ გარუსება უფრო სრული ყოფი-ლიყო, უნივერსიტეტიც კი არ გვაღირ-სებს და ფართოდ გავიღეს კარი სამხედ-როსა და ბიუროკრატიულ დაწესებულე-ბებში.

გაგვაჩნოვნიკეს, ქართული სული ამო-გვართვეს და რუსული სული ჩაგვიდ-გეს!

ამგვარადვე ჩაგვითრია რუსულმა ლიტე-რატურამაც. ჩვენი ლიტერატურა—რუ-სული ლიტერატურის განშტოებაა. და ზოგიერთი დიდის, ორიგინალურის, თა-ვისებური მწერლის გარდა, ყველა დანარ-ჩენი მწერალი რუსის მწერლებს ბაძავდა და-ბაძავს დღესაც.

მაგრამ წამხედურობამ განსაკუთრებით პოლიტიკურ მიმართულებებში იჩინა თავი. ჩვენი პარტიები თითქმის უკლებ-ლად—რუსული პარტიების განშტოების წარმოადგენენ: იგივე სოციალ-დემოკრა-ტია და მისი ორი ფრთა—მენშევიკები და ბოლშევიკები, იგივე სოციალისტ-რე-ვოლუციონერები ანუ მათი ტყუპი—

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის

ხმა № 8

რუსეთის დამფუძნებელ კრებისთვის

1. **კედია** სპირდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე —პედაგოგი.
4. **მაკვალიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. **ბეჟანიძე** სულეიმან ბეგი მეურნე (აჭარიდან).
6. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. **ყურული** გიორგი დურმიშხანის ძე ქალაქ თბილისის ხმოსანი, ჰიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. **გორდეზიანი** გიორგი პაპლას ძე—ნაფიცი ვექილი,
10. **ივანცკი** (ივანოლო) რაფაელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. **კეკელიძე** კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო გიმნაზიისა,
12. **ნიჟარაძე** რეჟებ ბეგი—მეურნე.
13. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე —პედაგოგი.

სოციალისტ ფედერალისტები, იგივე კა დეტები და სხ. თავისებურობა არსადა ჩანს.

დღევანდ იმერეთის დაბები და ქონდა კამათი სხვადასხვ პარტიის წარმომადგენლებთან. საკვირველია, თუ ეროვნული პარტიის წარმომადგენები ერთსა და იმავე იმერებიდან ყველგან: ფუთაში, ბაოთუმში, სამტრედიაში, ჩოხატაურში, ხიდისთავში ოზურგეთში, ახალსენაკში, ბანძაში, ყვირილაში. საკვირველია, რომ მათი აზროვნობა სავსებით გაყოფილა, გაშუქებულა, გაჭრელებულა, მომწყვდეულა პარტიული პროგრამების ჩარჩოებში და ამ ფარგალს ვერარა სცილდება და, თუ გასცილდა, იძნევა.

დაუზუპირებიათ პარტიული პროგრამები, წეუკითხავსთ ორიოდე წიგნაკი, სხვის ნაზრ-ნაფიქრი საკუთარ ფიქრში, როგორც გამასწორებელ ქუაში, არ გიუტარებით თავის მცირე სამეცნიერო საგზალს დასჯერებიან და მზად არიან არა თუ ჯისილ წერეთელს, არამედ თუნდ ბრძენთა ბრძენს შეეკამათონ!

გულისტკივილით ვამბობ ამას, ვინაიდან მაწუხებს ჩვენი პოლიტიკური დაწინაურება!

ამას წინეთ ერთს სადგურზე ორი ახალგაზრდა ქართველის ასეთი საუბარი მოვისმინე.

პირველი. რა ნება გქონდათ თქვენ, ბოლშევიკებს, მენშევიკებს რომ სწერდით აუტეხეთ და მაფიცეთ პეტროგრადის კუჭეში მორწყეთო.

მეორე. თქვენ, მენშევიკები, გაყალბებდით, სოციალიზმი უარჰყავით. ჩვენ სოციალიზმის განხორციელებას ვაპირობთ და სწორედ ამისთვის ჩავიდეთ ხელში ძალა უფლება.

პირველი. განა ჩვენც სოციალისტები არა ვართ?! გვაშორის ღმერთმა გაკადებებ; ეს სიცრუეა. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ სოციალიზმისათის ხალხი ჯერ მზად არ არის და, მაშასადამე, ბოლშევიკების გამარჯვებას საშინელი რეაქცია მოჰყვება.

მეორე. არა! ნამდვილი სოციალისტები მხოლოდ ჩვენა ვართ. ეინკამბობს, ხალხი მოიზადებული არ არისო, ის არ არის სოციალისტი.

პირველი. სრულიადაც არა. არ წაგიყოთხავსთ ჩვენი პროგრამები?! და სხ.

მთელი ერთი საათის განმავლობაში პაექრობა, კამათი მხოლოდ ბოლშევიკების და მენშევიკების პროგრამებისა და ტაქტიკის გარშემო ტრიალობდა და ერთი სიტყვაც არ წამოსცდენიათ იმის შესახებ, როგორ უნდა მოიქცეს ქართველი ხალხი იმ საბედისწერო ჟამს და რით უნდა აიცილოს თავიდან მოსალოდნელი რეაქცია, მაშასადამე, დარბევა და განადგურება.

შემდეგ მატარებელში შემთხვევით ერთს თანამგზავრს გამოველაპარაკე და ისიც მენშევიკი აღმოჩნდა, მეორემ, მესამემ, მეოთხემ და ხმა ისმაკს. ზოგი მენშევიკი ყოფილიყო, ზოგი ბოლშევიკი.

ერთი სურვილი, საქართველოს ჰაერი გაფლუნთიალია რუსულის პარტიული აზროკნობით!

თავიებურს, ორიგინალურს, ჩვენს ცხოვრებასთან მომარჯვებულსა და შეფერებულ პოლიტიკურ მიმართულებას კი ცოტა ჰყავს მომდევარი.

სამწუხაროა არ არის?

დროა, ახალგაზრდებო, განთავისუფლდეთ უცხო—გადამთიელთა პარტიული პროგრამების გავლენისაგან და აირჩიოთ საკუთარი გზა და კვალი, ე. ი. ის მართულება, რომელიც ჩვენს ცხოვრებას შეეფერება.

ვასილ წერეთელი.

დიდი დღე.

გამოცხადდა დიდი ეროვნული—ისტორიული დღე.

117 წლის განმავლობაში საქართველო იშდენთ მოკლებული იყო მთელიან ეროვნულ გამოსვლას, სამშობლოს ჭირ-ვარამზე შეერთებულთ ბჭობას, და პარტიულ გატაცებით იმდენად დაიკარგა ქართული შემოქმედებითი ენერგია, რომ იგი უხმოდ გადა...

და დღეს, როდესაც გვეუწყა ნანატრი ხმა, რომ ნოემბრის 19-ს დედა ქალაქ თბილისში ინაშნება **საქართველოს ეროვნული კრებაო**, ყოველ ქართველს გული აუტოკდება და იტყვის: „სიმახინჯის რუბიკონი გადალახულია, საქართველო მონურ სამარცხვინო ოპკიდან გამოდის და თავის თავზე მზრუნველობას იწყებსო“!

ეროვნულ კრებას იწვევს სრულიად საქართველოს ეროვნული ინტერ-პარტიული საბჭო.

კრების მოწვევის მოტივი ასეთია.

ეროვნული კრება გადაწყვეტს კითხვას, თუ ვის ჩაჰპაროდეს ქართველ თავდებ-ხმაწორების ქონება და გაარჩევს სხვა საჭირ-ბოროტო კითხვებს, რომლებიც ამ ჟამთ მოითხოვენ პასუხს.

ეროვნულ კრებაში მონაწილეობის მისაღებად დაუძახებენ წარმომადგენლებს, აფხაზეთ-სამურზაყანოდან სამამძღვანიო საქართველოდან, კრებაში წარმოდგენილი იქნებიან აგრეთვე საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული საგანმანათლებელო საზოგადოებანი.

მართალია კრებასთვის მთავარი კითხვაა თავდ-ხმაწორთა ქონების ჩაბარებაა, მაგრამ უეჭველია, კრება სხვა ჩვენთვის სერიოზულ კითხვებსაც დასდგამს განსაზილველად და მათ ასე თუ ისე გადასჭრის.

ნოემბრის 19-ს ყრილობას უნდა მიეცეს მთელიან საქართველოს გამოხატულება და ეს ასეც მოხდება, რადგან ამ კრებაზე ჩვენ შეეხვედით ძმებს აჭარლებს, აფხაზებს, სამურზაყანოელებს და ყველა ქართულ პოლიტიკურ მიმართებულებათა წარმომადგენლებს,

ამას წინათ უკვე ვსთქვით, რომ ალმოსავლეთ საქართველოს თავად-ზნაურთა აქეთ ეროვნულ კრების მოწვევას დაანჯარებს-თქო და დღეს ეს ბერწყინვალეთ ახდა. მაგრამ, რომ არ ყოფილიყო სჭირ-ბოროტო კითხვათ თავად-ზნაურთა ქონება, ერთიანად კრების მოწვევა მაინც აუცილებელი გახდა ყოველ დღე ცვალებადობის განცდა—მდგომარეობამ.

ეს დღეს, საერთოდ გრძნობილია საქართველოში.

გარდაბანალ ხანაში, როდესაც ინგრევა ძველი სოციალ ცხოვრების საფუძვლები, ყველა უუფლებონი უფლებით იმოსებიან, საქართველოს როგორ შეუძლია გულხელ დაკრეფილი იყოს, ერთ წერტილზე გაიყრიან!..

საქართველოს უმჭეობა, ძალთა დაწევა და გამოურკვეველობა ყველამ იგრძნო, ყველამ შეიგნო ისიც, თუ რა უარყოფილი ნაყოფი ახლავს ქართულ ძალთა პარტიულ კოალიციათ დაწევას.

ახლა სხვადასხვა სახით ყველა გამოსავლ გზას ეძებს,

და ეს გზა ერთად ერთია, ქართულ ეროვნულ იდეის აღიარება და მისი ქ-ტიურად დაცვა.

ამას შეესწრებთ იმ შემთხვევაში, თუ დაეარაზებით ეროვნული დროშის გარშემო და გავერთიანდებით.

სხვანაირათ არც შეიძლება შეხედეთ, რაჭაში მრისხნე მოვლენებს აქეს ადგილი ჩვენს მეზობლათ!..

დღეს ეროვნული გრძნობა ქართველი ხალხისა რეალათ ხოროც შესხმას უცდის, ეროვნული საფეხური მან კარგა ხანია დასტოვა.

საქართველოს დიდჭირ ყოფის ინტუიციერათ განსჯა, თუნდაც რომ ეს განსჯა საყოველთაო იყოს, ვერაფერს გვიშველის.

საჭიროა საქმით დავანახვოთ ქვეყანას ჩვენი არსებობა, ფაქტიურათ გამოვხატოთ ჩვენი სწორედი.

საქართველოს ცხოვრებას მოქალაქობრივ მხარესთან ერთად დაუყონებლივ მოეცეთ იურიდიული მხარე.

დღე, ნოემბრის 19-ს ყრილობა ყოფილიყოს დასაწყისი საქართველოს იურიდიულ გადაწყობებისა ის დასდებოდეს საძირკვლათ ქართულ ძალთა მობილიზაციას.

ი. ამირელი.

რუსული პრესა.

„დელო ნაროდა“ ამცნებს ს-რევოლუციონერების პოზიციას. ეს პოზიცია მოასწუალებს თითქმის ბოლშევიკების პროგრამის მიღების; „ზოზიციაში“ ასე ში მუშლი: 1. გადაცემა მთელი მიწების. 2. ენერგიული პოლიტიკა ზავის შესახებ. 3. მოწვევა დამფუძნებელი კრებისა, ასე, რომ შეეძლოს ერთ პლატფორმაზე შესძლებელია.

„დელო ნაროდა“ წინადადებას იძლევა „დაუყოვნებლივ შესდეს სოციალისტური სამინისტრო, ბოლშევიკებისა ცენზიანი ელემენტების გამოკლებით; ცხოველით ასეთ მთავრობას ექნება საშუალება თავდაც იიცილოს სამოქალაქო ომი, შეჩოკრიბოს თავის გარშემო მთელ დემოკრატია, ვინც ბოლშევიკების დემაგოგიით არ არის დაბრმავებული.

ასე რომ სოც.-რევოლუციონერებს მხოლოდ ერთი ნაბიჯი დარჩენიათ, რომ ბოლშევიკებს დაუმგრამძღნენ და უარი სთქვან მათთან შეუთანხმებაზე დიდის დათმობით და მაშინ ს.-რევოლუციონერები და ბოლშევიკები ერთ დემოკრატიულ ფრონტს შექმნიან.

გეოლოგიკების მთავრობა

(დასკვნიებული)

(გაზეთებიდან)

სახალხო კომისრების მთავრობა

სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცების და გლეხთა ყრილობამ დაადგინა: დამფუძნებელ კრებამდის რუსეთის განსაგებლად შესდგეს მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობა, რომელსაც სახელად ეწოდება სახალხო კომისრების საბჭო. სახელმწიფოებრივ ცხოვრების სხვა და სხვა დარგებს განაგებენ კომისრები. მათ ეველებთ ცხოვრებაში გატარება ყრილობის მიერ მიღებული და გამოქვეყნებული პროგრამები. კომისიების მეთაურ კაენშირი ეს წევრთ მუშების, მეშა ჯილების, მეზღვაურების, ჯარისკაცების, გლეხების და მოსამსახურეთა ორგანიზაციებთან. მთავრობა ამ კომისიების თავმჯდომარეთა კოლეგიას ეკუთვნის, ე. ი. სახალხო კომისრების საბჭოს. სახალხო კომისრების მოქმედების კონტროლი ეკუთვნის ს.რ.კ.ლიდ რუსეთის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების ყრილობას და მის ცენტრალ ბმასრულებელ კომიტეტს. მთავ ქმნ სრული უფლება სახალხო კომისრების გადაყენებისა

ამ ჟამად სახალხო კომისრების სისტემა შესდგება შემდეგ პირთაგან: საბჭოს თავმჯდომარედ —ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი), საშინაო საქმეთა სახალხო კომისრად—ა. ი. რიკოვი, მიწათმოქმედების კომისრად —ვ. პ. მილიუტინი, შრომისა —ა. გ. შლიაპნიკოვი, სამხედრო და საზღვაო საქმეთათვის შემდგარია კომიტეტი, რომელშიაც შედიან: ვ. ა. ოვსეენკო (ანტონოვი), ნ. ვ. კრილენკო და ფ. მ. დიბენკო, ვეჭრობა-შრეწველობის კომისრად —ვ. პ. ნოგინი, სახალხო განათლების—ა. ვ. ლუნაჩარსკი, ფინანსების—ნ. ი. სკვორცოვი (სტეპანოვი), საგარეო საქმეთა—ლ. დ. ბრონშტეინი (ტროცკი), იუსტიციის—გ. ი. ობპპოკოვი (ლომოვი), სასუსრსათო საქმის კომისრად—ი. ა. თეოდოროვიჩი, ფოსტა-ტელეგრაფის—ნ. პ. ავილოვი (გლებოვი), ეროვნებათა საქმეების თავმჯდომარედ —ი. ვ. ჯუღაშვილი (სტალინი), რაინის გზის საქმეთა სახალხო კომისრის პოსტი დროებით თავისუფალია.

საკადრისი სასჯელის მრსპობა

სრულიად რუსეთის საბჭოთა მეორე ყრილობამ დაადგინა: მოისპოს კერენსკის მიერ ხელმეორედ შემოღებული სიკვდილით სასჯელი. ფრონტზე აღდგენილ იქმნას აგიტაციის სრული თავისუფლება. განთა ვისუფლდნენ ყველა რევოლუციონერი ჯარისკაცები და ოფიცრები.

ბრძანება კერენსკის დასაჭერად

სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტმა ბრძანება გასცა, დაიჭირეთ კერენსკი და პეტროგრადს მოიყვანეთო.

დამფუძნებელი კრების მოწვევა

სახალხო კომისრების დადგენილებით:

1) დამფუძნებელ კრების არჩევნები დანიშნულ დროზე, გაირკვეს ისინი 12-ს მოხდება.

2) ყველა საარჩევნო კომისიები, აღგილმარჩევ თავთმართველობის დაწესებულებანი, სამჭიები და ჯარისკაცთა ორგანიზაციები მოვალენი არიან ზომები მიიღონ, რომ არჩევნები დანიშნულ დროზე მოხდეს.

რუსეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით სახალხო კომისრების საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ ულიანოვ. ლენინი.

დეკრეტი მიწის შესახებ

1. მემამულეთა საკუთრება მიწაზე დაუყოვნებლივ გამოუსყიდველივ ისპობა.

2. მემამულეთა დგება მამულები, აგრეთვე საუფლისწულო, სამონასტრო და საეკლესიო მიწები მთელ მათ მოძრავ და უძრავ ქონებით გადაეცან სოფლის საზოგადოებათა საადგილმამულო კომიტეტების ხელში დამფუძნებელ კრებამდე. საადგილმამულო კომიტეტებში შედიან გლეხთა დეპუტატები.

3 ჩამორთმეულ მამულებს, (რომელიც მთელ ერის კუთვნილებად ითვლება) წაეხდენა დიდ დანაშაულობად ჩაითვლება. დამნაშავე რევოლუციურ სამართლის დაისჯება. გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოები სახლის ზომებს დაუწესებენ მემამულეთა მამულების ჩამორთმევაში წესრიგის დასაცველად. სამაზრო საბჭოთა გლეხების დეპუტატებს ეკუთვნება აგრეთვე სრული ნუსხის შედგენა ჩამორთმეულ მამულისა, მათი ვალია ზომების მიღება, რომ სასტიკად დაცულ იქმნას მიწასთან ერთად მათ ხელში გადასული შენობები. იარაღი, საქონელი და სხ.

4. დამფუძნებელ კრებამდე საადგილ მამულო რეფორმებში სახელმძღვანელოდ ყველგან გამოყენებულ უნდა იქმნას. გლეხთა ნაკაზი, რომელიც სრულიად გლეხთა დეპუტატის „ვესტნიკის“ 88-ე ნომერში გამოქვეყნდა.

კავკაზიდან გიორგობისთვის 3-ის თარიღით იტყობინებიან უკრაინულ სამხედრო კომიტეტმა სამხედრო ოლქის უფროსად ბოგდანა დანიშნა.

უკრაინის ცენტრალ რადამ მიიღო პროექტი, რომელთაც უკრაინას უერთდება ხერსონესის, ეკატერინოსლავის, ხარკოვის, ხოლმის გუბერნიები და თავრადეს, კურსკის და ვორონეჟის გუბერნიების ნაწილები. რადამ შეიტყო მთავარი სეკრეტარიატი სასურსათო საქმეთა, მრომის, სოციალ-ზოლის, სამხედრო, ვაჭრობა მრეწველობის და გზათა კომისრებით.

სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობა ნოემბრისაში გადაიტანეს.

ტელეგრაფი მხოლ იდ კავკასიდან სის შორის შეშლობს პეტროგრად-მოსკოვ ხეს კაბელ მოწყვეტილ.

მთავარ ბანაკმა რადის უმაღლესი მთავრობა აღიარა. ოდესაში ამის გამო. გიორგობისთვის 3 საღამოს დარწმუნდა იყო უკრაინული დროშა.

სამხედრო კომიტეტის ბრძანებით ველისტ ოდესაში ბოლშევიკებს სამხედრო გემი მისულიყოს.

ზავის შესახებ.

საზავო მოლაპარაკება შესამზადებლად

„ნოვაია ვრემია“-ი სწერს საზავო მოლაპარაკებათა შესამზადებლად საბჭოთა მთავრობამ სტოკჰოლმში მყოფ ორლოვსკის დავალა მოლაპარაკება გამართოს დასავლეთ სახელმწიფოთა ელჩებთან.

საზავო დეკრეტი ფრონტებზე

„ვესნ“-ის ცნობით 4 მილიონ საზავო დეკრეტი ფურცლებს ყველა ფრონტზე ჰაეროპლანებით არიგებენ.

ჩრდილოეთ კავკასიაში პური ლუკმა.

ჩრდილოეთ კავკასიაში, სოფელ პეტროვსკში (სტაროპოლის გუბერნიაში) დაგროვილია 6 მილიონი ფუთი პური. ხორბალი. თუ ხორბალი მოკლე დროში გატანილ არ იქნა. ხორბალი დალპება. ამის შესახებ ორმაგირის სიხოვილ კავკაზის რკინის გზას, რათა სპეციალი ტრანსპორტები დანიშნოს ხორბლის გასატანად.

არჩევნებისთვის.

პარტიული ორგანიზაციული მუშაობა დღევანდელ აუცილებელ **პირობებში** აუარებელ ხარჯებს მოითხოვს.

გარდა ამისა უკვე კარს მოგვადგა დამფუძნებელ კრების არჩევნები.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოველა არჩევნებში ენერგიული მონაწილეობა მიიღოს, რათა შეძლებისოს ხალხს, გამოსთქვას თავისი მისწრაფება: საქართველოს თვისუფლება და ისეთი წესწყობილების დამკვიდრება, რომელიც ჩვენი ხალხის ინტერესებს არსებითად შეეფერება.

საარჩევნო კომისიის გაწევა პარტიისგან მეტად დიდ ნივთიერ სახსარს მოითხოვს.

ამისთვის მივმართავთ პარტიის ყველა წევრს და თანამგრძნობს, შემოიტანოს პარტიის კასაში შეძლებისდაგვარად თავისი წვლილი.

1) ბ-ნ ივანე პურაღაშვილთან აზოდონის კომერციულ ბანკში.

2) გაზ. „ჩვენი ქვეყანა“ რედაქციაში, თბილისის ქ: ს. შიქლაძის სახლი.

გასწიეთ ყველგან აგიტაცია საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოდ!

ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს! ყოველი შემოწირულება, რა რიგ მცირეც არ უნდა იყოს იგი, საერთო საქმისათვის მეტად ძვირფასია.

ქუთაისის კომიტეტი საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისა.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ბაღდათ რიონის რკინის გზის გარშემო. დღეს, 7 ნოემბერს, თბილისიდან ჩამოვა კავკასიის სამხედრო სამრეწველო კომიტეტის რწმუნებული ინჟენერი პროკინსკი, რომელიც ხელშეკრულებას დასდებს ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტთან ბაღდათ-რიონის რკინის გზის გაყვანის შესახებ.

✦ **ქალაქის საბჭო.** დღეს, საღამოს 8 საათზე შესდგება ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზედაც სხვათა შორის გაირჩევა საკითხი შრომის ბირჟის დაარსების შესახებ.

✦ **კონვერტები.** დამფუძნებელი კრების არჩევნების მომწყობაზე საგუბერნიო კომისიამ მიიღო ერთი ვაგონი კონვერტები სულ 600,000 ცალი, რომელიც ამ დღეებში ბეჟდის დასმით დარიგდება მაზრებში.

✦ **ლექცია.** დღეს, ქალაქის თეატრში აკაკი პაპავა წაიკითხავს ლექციას „აგრალურ საკითხზე“ ლექციის დასრულების შემდეგ გაიმართება კამათი.

✦ **პური.** ქუთაისში უკვე პურის ფქვი-

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისწყვა ლგაღმა უბნის კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს ნოემბრის 5-ს ქართველ გიმნაზიის დარბაზში მომენტის შესახებ მოხსენებას წაიკითხავენ **ტარიელ ჯაფარიძე** და **ნიკო ლორთქიფანიძე**.

მოხსენების შემდეგ გაიმართება შეკითხვები.

ლი არ მოიპოვება. გუშინ ფურნალები დახურული იყო. სასურსათო კომიტეტის ცნობების მიხედვით ქუთაისში ყოფილა სამი დღის საყოფი სუხარი. არის აგრეთვე რამდენიმე დღის საყოფი პურის ზორბალი, მაგრამ დაფქვა სჭირს. სასურსათო კომიტეტს დაუქირავებია სოფ. გეგუთში წისქვილები, მაგრამ ამ წისქვილებს დღეში შეუძლია მხოლოდ 60 ფუთის დაფქვა, როდესაც ქუთაისს ყოველ დღიურათ 1500 ფუთი ფქვილი სჭირდება. გუშინ ღილით სასურსათო კომიტეტმა მიიღო კიდევ ერთი ვაგონი პურის ფქვილი. როგორც გავიგეთ სოფ. ჭონთიდანაც ჩამოუტანიათ 4 თვალი წისქვილი და ამ დღეებში ხორბალის ფქვას მოაწყობენ.

◆ **დამფუძნებელი კრების** არჩევნების კომპანიის მოახლოების გამო ქუთაისის მესამე გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფეები 15 ნოემბრამდის დაითხოვეს.

◆ **სასურსათო კომიტეტის ვალი.** სრულიად კავკასიის სასურსათო სამმართველოს თავმჯდომარის ამხანაგი **გ.** არდაშელი სთხოვს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, გაუგზავნოს 1 მილიონი მანეთი, რომელიც დარჩენილია მიღებულ სურსათზე და აგრეთვე ნახევარი სადასურო ნომებერში გამოსაგზავნ სანოვაგეზე.

◆ **დამფუძნებელი კრებისთვის.** დამფუძნებელი კრების არჩევნების **მომწყობი ოზურგეთის** ბაზრის კომისია, **ატყობინებს** ქუთაისის საგუბერნიო კომისიას, **რომ** მოცე მაზრაში იმყოფება ერთი სამხაზრო კომისია, ერთი ქალაქისა, ოთხი სარაიონო და 50 სასოფლო კომისია. გურიანთის საამრჩეველო რაიონში იქნება 12.908 ამომრჩეველი, ჩოხატაურის რაიონში—16.444, ლანჩხუთის რაიონში—9.058, სუფსის რაიონში- 4.354 და ქ. ოზურგეთში--3009 ამრჩეველი. მუშაობა მაზრაში გრძელდება. სიები სამოლაოთ გამოკეყნებული იქნება 7 ნოემბერს.

◆ **შაქრის გაზიდვის შესახებ.** რადგანაც ქუთაისიდან დიდძალი შაქარი გაჩნდათ, ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა დაადგინა: ვინც კავკასიის სამხედროს უფლება არ ეძლება, მხოლოდ ვინც რუსეთში გაემგზავრება, მას ნება მიეცეს თან გზაზე წაიღოს მხოლოდ ერთი გირვანქა შაქარი.

◆ **კომისიის განკარგულება.** ქუთაისის და ამასთანავე გზაზე ამ ბოლო დროს ცხრეკა გლეხი მეტად გაეცელდა. ამ დღეებში გაძარცვეს რამდენიმე მგზავრი. ამისთვის გუბერნიის კომისარმა ბრძანება გასცა, რომ ზოგები მიიღონ, რაათა ბოროტ გამზრახველები აღმოჩენილ იქნეს.

◆ **ქართველ მაჰმადიანთა შეკრება.** როგორც ბათომიდან ჩამოსულებმა გადმოგვცეს, იქ დაუპატიჟებიათ ქართველ მაჰმადიანთა საქველ მოქ. საზოგადოების პრეზიდიუმის წევრნი: შემდ ბეგ ბაბაშიძე, ზაქარია ბეგ ბაბაშიძე და ქიქავე. აგრეთვე გაუზრავებიათ მათი და ქართველ-მაჰმადიანთა კომიტეტის შინა. ისინი დაპატიჟებულნი არიან „კონტრ რაზედკის. განკარგულებით. ხალხში მღელვარებაა. ამის გამო საჭიროა სწრაფი ზომების მიღება.

◆ **სიმინდი** თბილისიდან საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს სთხოვენ რომ ნება მისცენ რათა ს. ანაკლიიდან ქ. რიხათის გზიდონ 10,000 ფუთი სიმინდი, მაგრამ კომიტეტმა უარი განაცხადა.

◆ **ხორცის საკითხი.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტში დაადგინა მიწლის სენაკის მაზრის სასურსათო კომიტეტს მოაწყოს ქუთაისისათვის ხორცის მოწოდის საქმე.

◆ **მოხელეთა დადგენილება.** თბილისში სახელმწიფო დაწესებულებებს თავის კრებაზე ასეთი რეზოლუცია გამოუტანიათ: 1) ყოველივე საშუალებით მთავრობას და ვებრძოლოთ ბოლშევიკების გამოისვლას თუნდ ამისთვის იარაღიც იქნეს საჭირო და 2) ყოველივე ზომები მივიღოთ რათა დაუყონებლივ იქმნეს მოწყვეული დამფუძნებელი კრება და ყველაგან წესიერება სუფევდეს

საელმწიფო დაწეს. მოსამსახურეთა კავშირის დელეგატების კრება. 7. ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, გუშინ. სამმართველოს დარბაზში დანიშნულია კრება ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა დელეგატებისა. კრებაზე სხვათა შორის არჩეულ იქმნებიან დელეგატები, რომელნიც დაესწრებიან კავკასიის სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა კავშირის ყრილობას, რომელიც გაიხსნება ქ. თბილისში 10 ნოემბერს.

◆ **ბარათები პურზე.** ქუთაისში პური ბარათებით 8 ნოემბრიდან გაიცემება.

◆ **ქურდობა.** მებაღეების ქუჩაზე კრამიტ ბოროტგამძრახველებმა გასტეხეს დ. თვალთვაძის სამკერვალო და წაიღეს 1500 მან. ღირებული სხვადასხვა ტანისამოსი. ამავე ქუჩაზე კალმახელიძის სამკიტნოდან მოიპარეს 8 თუმანი ფული.

◆ **სასწავლებლები.** 5 ნოემბერს მოხდა კლასიკური გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოსი. კრებაზე განხილულ იქმნა ხსენებული გიმნაზიის მოწაფეთა მოთხოვნილება, რომ ისინი დამფუძნებელი კრების არჩევნების მოახლოების გამო ორი კვირით დაეთხოვნათ. სამჭიმ მოწაფეების მოთხოვნილება შეუძლებლათ დაინახა და დაადგინა: რომ განაგრძონ მეცადინეობა, იმათთვის, ვინც სასწავლებელში სარეოს არ შესწყვეტს.

◆ **ქართული კორპუსი.** ქართველ მხედართა კავშირმა ნებართვა მიიღო, რომ საქართველოს სამხედრებში, შედგინოს ქართველ მხედრობისაგან ერთი კორპუსი. ამ კორპუსში ქვეითა ჯარის გარდა შევა სპეციალური ნაწილებიც. ბოლკები დაარსებული იქნება ყველა დაბა—ქალაქებში. როგორც გავიგეთ თბილისში რამდენიმე პოლკის შესადგენათ უკვე ზრუნავენ. ქართული პოლკების შეკრებული იქნება ყველა ქართველ ჯარის კაცებისაგან, რომელნიც სათადარიგო პოლკებში მსახურებენ.

◆ **გალაკტიონ ყიფიანი.** გვთხოვს დაგეცხადებინა, რომ 2 ნოემბერს მატარებელში საღაურ ბაშურიდან ზესტაფონამდის ნან დაჰკარგა საფულე ფულით დამთავისუფლებისა და რეკომენდების ნებართვის მოწმობებით. მპოვნელს სთხოვს ფული თვითონ დაიტოვოს და მოწმობები გაუგზავნოს შემდეგი მისამართით: ქუთაისი, სამოო უბნის კომისრის სამმართველო გ. ყიფიანს.

პროვინცია.

ქ. **ზუგდიდი.** 2 ნოემბერს ღამით გაძარცვეს პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებელის ინსპექტორი პლატონ ნადირაძე. ბოროტ გამზრახველებს ნადირაძე გაცარცვეი შემდეგ დაუჭრიათ.

— **ს. ოზურგეთი** ვ. ვარდოსანიძემ თავს დაესხენ შეიარაღებული ბოროტგამზრახველები წართვეს 200 მანათი.

— **ს. თერჯოლა.** ივანე ჟორჟოლიანს თავს დაესხენ ავაზაკები, დისპრეს დათან 80 მანათი წაართვეს.

— **ქ. ჭიათურა.** ყოველგვარი გადასახადები ამ რაიონში შეკრებულია. ფული ხაზინას გადაეცა.

— **ქ. ჭი თურა.** 8 ნოემბერს, ქ. ჭიათურაში გაიმართა ილიას საღამო გადაცდომებიდან 1 ზლის შესრულების გამო. საღამოს მიუხედავათ ცუდი ამინდებისა ბურაკეული საზოგადოება დაესწრო. შინაარსიანი და მრავალფეროვანი საღამო კარგად ჩატარდა, რითაც საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. დაწერილებით რეცენზიას შემდეგ მოვათავსებთ.

თბილისი

თბილისელი ბოლშევიკების გარდაწყვეტილება. თბილისელ ბოლშევიკებს გადაწყვეტილი აქვთ შუშაობა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრთა ახალი არჩევნები მოხდეს. რა შედეგიც ამ არჩევნებს მოჰყვება, იმის **დაკვირვებ** იმოქმედებენ შემდეგში.

— **ქალთა უმაღლეს კურსებზე,** კირას, 5 ნოემბერს, დილის 11 ს. (ანასტასიას ქ.) დანიშნულია საზოგადო კრება ქალთა უმაღლეს კურსების უფროსების დამხმარე კასის წევრებისა. განსახილველი საგნებია. 1) მოქმედების ანგარიში და სარევიზიო კომისიის მოხსენება. 2) ახალი გამგეობის არჩევნების საკითხი 3) წესდების ზოგიერთი შეხლის შეცვლა. არა წევრებს არა აქვთ ხმის უფლება.

— **სამხედრო დამფუძნებელ კრებათა.** უკვე დამთავრებულ საარჩევნო სიებიდან სჩანს, რომ ქალაქ ქუთაისში 31.682 ამომრჩეველია, ქუთაისის მაზრაში 65.000, შორაპნისაში 88. 000, ლეჩხუმისაში 32.000, ზუგდიდისაში 52.000, რაჭისაში 30.000 და ფოთში 6. 6.000 ამომრჩეველი სენაკისა და ოზურგეთის მაზრებიდან ცნობები არ მოსულა.

ეროვნული ინტერპარტიული საბჭო.

საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულმა საბჭომ თავის სხდომაზე სამნორებრის გადასწყვიტა:

1) 19 ნოემბრისათვის მოიწვიოს ეროვნული ყრილობა საქართველოს ყველა პარტიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიურ დაწესებულების წარმომადგენელთა სახით თავად-აზნაურთა კონების ჩასაბარებლათა და მოსაველელად და სხვა მიზნით საქირბოროტო საკითხების გადასაწყვეტათ. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდო ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს საქმის მოწყობას.

2) გაიგზავნოს განსაკუთრებული დელეგაცია ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს სახელით აბხაზ სამეურნეყავანოლთა შეიდ ნოემბრისათვის დანიშნულ ყრილობაზე დასასწრებლად სოხუმში. იმავე დელეგაციას ევალება აგრეთვე ბათუმის ოლქში გამგზავრება ქართველ მაჰმადიანთა დღევანდელი მდგომარეობის გამოსარკვევად და იქაური საქმეების მოსაგვარებლად.

ეროვნული კითხვა.

გალიციის და ლიტვა კურლიანდიის ბედი

კოპენჰაგენი. ოქტომ. 25. „ლოკალ-ანეაიგერი“ ს ცნობით პოლონეთის სამეფო საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დაუდგენიათ ავსტრიის იმპერატორი პოლონეთის მეფედ გამოაცხადონ. გალიცია პოლონეთს შეუერთდება, ლიტვა და კურლიანდია პრუსიას.

პოლონეთის უფლებები

კოპენჰაგენი. ოქტომ. 25. „ბერლინელ“ ტაგებლატის“ ცნობით პოლონეთის მიწა-წყალს მიემატება სუვალკის გუბერნიის დიდი ნაწილი. ამას გარდა პოლონეთის გემები თავისუფლად იმოძრავებენ მდ. ვისლაზე ზღვამდე.

პოლონელები და ებრაელები

კოპენჰაგენი. ოქტომ. 25. სარეგენტო საბჭოს წევრმა თავადმა ლიუბომირსკიმ ებრაელთა დეპუტაციას აღუთქვა, პოლონეთში ებრაელები სასურველ სრულუფლებიან მოქალაქეებად იქნებიანო.

ჩემთვის უკვდავ დას.

არ განმიცდია ჯერ მე ოდნობით
ზარის ხმაური მეათასეში,
მხოლოდ დღეს ვცანი გულის მოდნობით
რომ განმეშორა უქვირფასესი!..

ჰე დაო, დაო, შენაკლებო—
მზის სითბოს კუბო რად ამკრძალენ?.-
სიცივეს ლის მეოსანს, ჩემო მთიებო,—
სწუთრო რისთვის დამეგმანენ?!..

რისთვის წამართვი სულის მშვიდობა,
რად დამითალე სიმნი ფლასებ?...
მე რად მინდოდა ოტარიდობა—
ოღ არ ვიმღერე ფარჩატლასებით?!..

შენ მიიცვალე უფარშეობაში...-
მითხარ: —შენს სხეულს ვის მივაბარებ?! —
ტანჯვით დავკრძალავ ლექსთა კუბოში
და ჩემთან ერთად შენც გამოაბარებ!

წელთწყვებს იქით, ნაზ თვალთა რულით,
შენ განახლდები ქარვის მთვარეზე...
და მე... ო დაო... -მშურ სიყვარულით—
გიტირებ მარად ლექსთ სამარეზე!...

ქარვის ტირილი.

ვაკვდები ღვინოს, რომ მაკარგვინოს—
წვალება მგოსანს, ხვალ საგვირგვინოს...
ვტტრი სევდისთვის, ვსტრი ისევ დისთვის,—
ცას ვსთხოვ ანაზდათ რომ დაიგრგვინოს!...

ყარყუმ ხაზიდით, მზე ლამაზი დით,—
ზეცამ წამართვა, ზეცამ საზიდით...
ვაი ფირალო—სულო მტირალო,—
შენ მიიცვალე ამ თვის ნაზ იდით!...

ქარვის დღეობით მსვლელობით ხეობით,
ჩემს სიფლავეთში ხან მოკლეობით;—
საზარი ელდით დავკარიელდით,
ვერ ვიქორწინებთ ღამის მნეობით!..

იგიც მარიდებს მკრთალ ოტარიდებს,
ჩემს თავს დადალულს მკერდზე არ იდებს...
და სამრეკლოზე სანარეკლოზე—
უკვე ვასმინე გლოვის ზარი დებს!

ბეღდართ სამყაროში სამწუხაროში
მზე განისვენებს შავ მაღაროში,
მინდა გვირილით მთვარის ტირილი,—
ცრემლი მშრალია თვალთ საღაროში...

და გზაბრუნდებით უკან გბრუნდები...
ო ვით დამტანჯეს სულზე ხუნდებით!..
დადუმბლ-დაფ ნელი, დაუდაფნელი
თეორ სიცხადეში ღამით ვხუნდებით...

დი მე ვსვამ ღვინოს, რომ მაკარგვინოს
წვალება მგოსანს ხვალ საგვირგვინოს!..
ვსტრი ისევ დისთვის, ვსტრი ისევ დისთვის,—
ცას ვსთხოვ ანაზდათ რომ დაიგრგვინოს!..

შ. კარმელი.

სია № 8

ერთიანი ეროვნული ბლოკის

სია № 8

ქართველ მასწავლებელთა საყურადღებოთ

დღეს წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის შენობაში, ძველი დროით საღამოს სრულ ექვს საათზე, დასავლეთ საქართველოს ქართველ მასწავლებლთა კავშირის გამგეობის თანხმობით ქუთაისურ მასწავლებელთათვის გაიხსნება ქართული ენის მოკლევადიანი უფასო კურსები შემდეგი პროგრამით: ა) ქართული ენის შედგენის პროცესი. ბ) ქართული ენის ბუნება და იმისი თვისება. გ) ქართული ანბანის ისტორია, დ) ხმნა და იჭის წარმოება ე) ძირითადი პრინციპები ქართული მართლწერისა და სწორმეტყველებისა ვ) ქართული პროზა. ზ) ქართული ლექსი.

კურსებზე დასწრება შეუძლიათ, როგორც საშუალო, ისე დაბალი სკოლის მასწავლებლებსაც სურვილისამებრ. პირველი ლექციის შემდეგ მიმენტულთან შეთანხმებით დაინიშნება დღე და დრო შემდეგი ლექციებისა. განზრახულია, კურსები გაგრძელდეს ორ კვირას, სასურველია, მსმენელთა რიცხვი ბევრი აღმოჩნდეს და პირველ დღიდანვე მიიღონ მონაწილეობა.

გამგეობის მდივანი ლადო ნაცვლიშვილი

(**ბზვანელი**).

დამფუძნებელი კრების საარჩევნო კანონი.

თავი 8

დამფუძნებელ კრების წევრთა გამოცვლის წესი

95. თუ დამფუძნებელ კრების როშელიმე წევრი გამოეწერება საკანდიდატო სიიდან, მის მაგიერად სიაში მის შემდეგ შეტანილი პირი რჩება. ასეთ მიყოლებითი წესით იცვლებიან დამფუძნებელ კრების წევრები.

იმ შემთხვევაში, თუ სიები შეერთეს და ერთ-ერთ ამ შეერთებულ სიათაგანს კანდიდატები აკლია, მათ მაგიერად დამფუძნებელ კრების წევრებად გავლენ იმ სიის თავისუფალი კანდიდატები, რომელსაც ამ შეერთებულ სიაში მეტი ხმა მიიღო.

96. იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ სიას, ან და შეერთებულ სიებს არ ჰყავთ კანდიდატები სიებიდან გაწერილ დამფუძნებელ წევრთა სანაცვლოდ—მათი ადგილი თავისუფალი უნდა დარჩეს.

თავი 9

თავისუფლების დაცვა და არჩევნების სისწორე.

97. დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს ის, ვინც ამა თუ იმ საკანდიდატო სიის წარმოდგენილ ჯგუფის საარჩევნო მოწოდებებს, თუ სიებს ჰკლეკს, დაშფრავს ან და სახალხოდ შესცილის დაისჯება ან ერთის თვის ციხით, ანდა ას მანეთამდე ჯარიმით.

98. ის, ვინც თავისუფლად შეგარდება იმ სადგომში, რომელიც არჩევნების წინასწარ საგატაციოდ არის დანიშნული და ამა თუ იმ საკანდიდატო სიის წამოყენებულ ჯგუფის განკარგულების ქვეშ იმყოფება; ვინც ამ თუ იმ ორგანიზაციის არჩევნების წინასწარ საგატაციო ლიტერატურას მოსპობს თუ წაიხდენს, ვინც დაემუქრება ან ძალით შეურაცხყოფს ამა თუ იმ ორგანიზაციის პირს, რომელიც არჩევნების წინასწარ აგიტაციას ეწევა დაისჯება არა უმეტეს 6 თვის ციხით.

99. ის პირნი, ვინც ცრუ ცნობებს გაავრცელებს რომელიმე კანდიდატის შე-

დათვით პური, დაზარდეთ ფრინველი და ოთხფეხი საქონელი, რადგან მსოფლიო შიმშილისა და გზების გაფუჭების გამო ჩამოტანის იმედი არ უნდა იქონიოთ.

სახეზე იმ მიზნით, რომ თვით მას, ანდა მის წამომყენებელ ორგანიზაციას ნდობა დაუკარგოს—დაისჯება ან სატუსაღოში ჩასმით, ან დაჯარიმებით.

100. ის პირი, ვინც 44 მუხლით მოთხოვნილ განცხადების შესვლის ან და ყალბ განცხადების მისცემში იმის შესახებ, რომ ესა თუ ის კანდიდატი აცხადებს თავის სურვილს, რომ დამფუძნებელ კრებისთვის მას ამა თუ იმ ოლქში ამა თუ იმ საკანდიდატო სიით ეყაროს კენჭი დაისჯება გამასწორებელ თათბირში დატუსაღებით.

ასევე დაისჯება ის პირი, ვინც დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ საოლქო კომისიაში წარადგინეს კანდიდატის ყალბ განცხადების, რომ ვითომც მას ჰსურდეს კენჭი ეყაროს იმ სიით, რომელსაც ხსენებული პირი უცხადებს დამფუძნებელ კრების საარჩევნო შემდგარ საოლქო კომისიას.

101. ის პირი, ვინც განგებ გაავრცელებს კანდიდატების არა მართლ სიებს ან და ყალბ საარჩევნო ბარათებს—დაისჯება სატუსაღოთი.

102. ის პირი, ვინც შეიცნობა ხელი შეუშალოს ამა თუ იმ საკანდიდატო სიის წამომყენებელ ჯგუფს, რომ მან არ ჩევნების წინასწარი კრებები გამართოს, ვინც ხელს შეუშლის დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ კომისიებს—ძალდობით, დამუქრებით, ბოროტმომქმედებით თუ უწესობით—დაისჯება სატუსაღოთი.

თუ ხსენებული საქციელი რამდენიმე შეიარაღებულ პირმა ჩაიდინა და მათ მოქმედების გამო ჩაიშალა ხსენებულ კრებების თუ კომისიების მოქმედება—დამნაშავენი გამასწორებელ თათბირში ჩასმით დაისჯება..

103. ის სასულიერო პირი, ვინც ეკლესიაში თუ გარეთ თავის სიტყვებით, თხზულებით თუ კიდევ სხვა რამ საშვალებით შეეცდება რაიმე გავლენა იქონიოს დამფუძნებელი კრების არჩევნებზე—დაისჯება არა ნაკლებ ექვსი თვის სატუსაღოთი.

104. ის პირი, ვინც დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს თავის კანდიდატურას ხუთ საარჩევნო ოლქზე მეტ ალაგის წამოაყენებს, დაისჯება სამ თვემდე შეპყრობით ან და არა ათას მანეთზე მეტ ჯარიმით.

1) მე-97, 99, 101, 104, 105, 109 და 113 მუხლებში აღნიშნულ დამნაშავეთ მოსწავის საკანონმდებლო დაწესებულებათა და თვითმართველობის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობის უფლებათა ხუთ წლამდე.

2) მე-98, 104, 108, 109 და 111 მუხლებში აღნიშნულ დამნაშავეთ გადაახდევინოს ფულად სამი ათას მანეთამდე

3) მე-97, 100, 101, 104, 168, 109, და 114 მუხლებში აღნიშნული დამნაშავენი დაითხოვოს თანამდებობიდან, თუ მათ რამე თანამდებობა უჭირავთ.

115. ამ მე-9 თავით აღნიშნულ დანაშაულებებს უყენებენ 1905 წ. მარტის 22-ის სისხლის სამართლის დებულების პირველსავე (კანონთა კრებული მე-4, 1909 წ. გამოცემა).

116. მეცხრეთ თავში აღნიშნულ დამნაშავეთა განსაჩივრების უფლება აქვს, უყენოდ იმ პირს, ვინც დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობს.

117. მე-96—99, 103, 107 და 112 მუხლში აღნიშნულ დამნაშავეთა განსაჩივრება შეიძლება მხოლოდ არჩევნებიდან სამ თვის განმავლობაში. ხოლო დანარჩენ მუხლებში აღნიშნულ დამნაშავეთა განსაჩივრება ექვს თვის განმავლობაში.

118 მეცხრე მუხლში აღნიშნულ იმ დამნაშავეთა საქმეებს, რომელსაც სატუსაღოთი ან და უფრო სასტიკად სჯიან, განაგებენ საოლქო სასამართლოები, დანარჩენ დამნაშავეთ საქმეებს მომრიგებელი სასამართლოები განაგებენ.

თავი 10

დამფუძნებელ კრების არჩევნების ხარჯები.

119. ამომრჩეველებს სასყიდელი არ მიეცემათ არც დროს დაკარგვის გამო, არც სასუქათო ხარჯების ასანაზღაურებლად და არც საგზაო ხარჯების დასაფარავად.

120. საარჩევნო სიების შესადგენად საქალაქო და საერობო დაწესებულებებმა უნდა გაიღონ ფული სახელმწიფო ხაზინაზ მხოლოდ ხარჯების 75 პროცენტს აუნაზღაურებს.

121. დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ კომისიებს საქმის საწარმოებლად, სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ კომისიის დადგენილებით, მიეცემათ საგანგებო თანხა იმ კრედიტებიდან, რომელიც დროებითმა მთავრობამ გადასცა სახელმწიფო ბანკიდან დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

122. სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ კომისიის წევრები მიიღებენ საგანგებო სასყიდლად ყოველ სხდომაზე 15 მან.-

123. დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ სატახტო, საოლქო, საბაზრო და საქალაქო კომისიის წევრები, რომლებიც სახელმწიფო სამსახურზე არიან, სასყიდელს იღებენ იმ წესებიის მიხედვით, რომლებიც სახელმწიფო სამსახურის დებულების 606—662 მუხლებშია ნახსენები (კანონთა კრებული მე-5 ტომი. 1896 წ. გამოც.) ამ მუხლში აღნიშნულ კომისიების დანარჩენ წევრებს და აგრეთვე საუბნე საარჩევნო კომისიებს წევრების ფული დაენიშნებათ საერობო კრებიდან და ქალაქის საბჭოებიდან. სასყიდლის ოდენობას საერობო კრებები და ქალაქის საბჭოები განაგებენ და ქალაქის საბჭოები გადასწყვეტენ.

კომისიების ის წევრები, ვინც კანდიდატების სიის გამკსადებელ ჯგუფების მიერ არიან გამოგზავნილნი სასყიდელს არ მიიღებენ.

124 დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ საუბნო, სამაზრო, საქალაქო, საოლქო, და სატახტო კომისიებში შინების ხარჯსა და მათ გათხობა კანტორებისათვის საჭირო თანხას საქალაქო და საერთო დაწესებულებათაგან მიიღებენ.

მიტროპოლიტ ანტონ ქუთათელის მოგზაურობა ზემო იმერეთში მონასტრების დასათვალიერებლათ.

27 ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზე მისი მაღალ ყოველდღესამღვდელოესობა იმერეთის მიტროპოლიტი ქუთათელი ანტონი მობრძანდა ჭიათურაში თან ახლდა თავისი საკათედრო ტაძრის კრებული დეკანოზით მამა ვასილ დოლაბერიძით. თუმცა ჭიათურის სახოგადოებამ წინდაწინ გაზეთებით არ იცოდა მისი მეუფების ჩამობრძანება, მაგრამ ჭიათურელები მაინც დიდძალი ხალხით შეხვედენ თავის ახალს მწყემსმთავარს. მასს მეუფებას შეეგებენ ჭიათურის ფეშიმპრივეტლობის და აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელნი, შავი ქვის მრეწველები, მრეწველთა საბჭო, სამღვდელობა და სხვანი. მაღლობის ღირსი ჭიათურის რკინის გზას სადგურის კომისარი ბ. ამაშუკელი, რომელმაც წესრიგი მშვენიერად დაიცვა ვაგზალში. ყველა თავ თავის ალაგზე იდგა. გარშემო ხალხი მწყობრად იყო და შუაზე კი თავისუფალი ადგილი დატოვეს მისი მეუფების შესახვედრებლათ გადმობრძანდა თუ არა მატარებლიდან, მასმა მეუფებამ ჯვარი გადასახა საზოგადოებას, იმ დროს მგალობელ მოწაფეთა გუნდი სანდრო კაცხაიძის ლიტიბრობით მასს მეუფებას უგალობა; „ისპასნეთ ეტი დეს მეუფეო.“ შემდეგ ამისა მღვდელმა ბესარიონ ვაშაძემ სიტყვით მიმართა მასს მეუფებას, მიესალმა და მიულოცა სახოგადოების სახელით ქუთათელ მიტროპოლიტად დანიშვნა. სიტყვის შემდეგ მიტროპოლიტი ანტონი დამსწრე სახოგადოების თანხლებით წაბრძანდა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სასწავლებლის ეკლესიაში, სადაც მასს მეუფებას მისაგებებელი „ლიტია“ გადაუხადა შვედელმა გერვასი ბარათაშვილმა და სიტყვაც უთხრა მას.

მასს შემდეგ მიტროპოლიტმა მგრძნობიარი ქადაგება სთქვა, რაშიდაც მკაფიოთ და ცოცხლად დაასურათა იევრაის ახალი აღდგენილი ეკლესიის დიდი მნიშვნელობა ქართველ სამშობლოს და ერის საკეთილდღეოთ, თანაც მადლობა გადაუხადა საზოგადოებას შეხვედრისთვის და მილოცვისთვის.

4 საათზე მრეწველთა საბჭომ სადილზე მიიწვია მეუფე მიტროპოლიტი თავისი კრებულით, დასწრე სამღვდელოებით და სტუმრებით. სადამოს 6 საათზე მისი მეუფება ეკლესიაში გადეგზავნა მღვდლის დედათა მონასტერში რომელიც ჭიათურაზედა დაშორებული ორ ვერსტ-ნახევარით; მონასტერში რომ მიბრძანდა მისი მეუფება, პირდაპირ ეკლესიაში გაეშართა, სადაც ღამის თევით ლოცვა შეასრულა პურის კურთხევით; ნალოცვის მისს მეუფებას სიტყვით მიმართა მონასტრის მოძღვარმა მამა ეღვარდ კაპანაძემ, რაზედაც მადლობა გამოსთქვა მწყემსმთავარმა და გრძნობიერი სიტყვით დალოცა მონასტრის წინამძღვარი ქრისტინე თავისი მონასტრის დებით.

მეორე დღეს მისმა მეუფებამ საღმრთო წირვა შეასრულა მონასტრის ეკლესიაში და შვენიერი ქადაგებაც სთქვა. ნაწირვებს მონასტრის სასიფლაო დათვალიერა და პანაშვიდებიც გადაუხადა მიცვალებულ იღუმენია თევდულას, მასწყვალებელს ნიკოლოზ პუშკინს და სხვას; შემდეგ ამისა ინახულა გამოქვაბულ კლდეში უხსოვარის დროიდგან გამოკოდილი პატარა ეკლესია და იქვე გამოკეთებული ღაყუდებულ ბერთა ძველი დროის სენაკი, რომელი ეკლესიაც თავისი სენაკით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველებზე; მისმა მეუფებამ წინადადება მისცა მონასტრის მოძღვარს, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრას ამ ძველ ისტორიულ ნაშთს, როგორც ჩვენ ძველ წინაპართა სარწმუნოების სიმბოლოს და ძეგლს.

მისი მეუფება 29 ოქტომბერს დილის 9 საათზე გამოეშვიდობა, დალოცა მონასტერი და ძალიან ნასიამოვნები და კმაყოფილი წაბრძანდა დაბა სახრეებში სანოვაგად. იმ დღეს სახრეის ვაგზალზე ხალხი მიეგება მწირველ მიტროპოლიტს, რომელსაც ჩინებული სიტყვა უთხრა მღ. მამა ამბითან იაკობიშვილმა.

ვაგზლიდგან მისი მეუფება ფეხით წაბრძანდა ეკლესიასენ, სადაც მისს მეუფებას სიტყვით მიეგება ამ ეკლესიის წინამძღვარი მ. სერგი მაჭარაშვილი. იმ დღეს მწირველი იყო მიტროპოლიტი ჩვენი უყვდავი მგოსნის აკაკის სულის სახსოვრად; ნაწირვებს მწყემსმთავარმა იქადაგა და შემდეგ აკაკის პანაშვიდიც გადაუხადა; ეკლესიის გალავანში მისს მეუფებას სიტყვა უთხრა ეფრემ ბიბილაშვილმა და მერე მიტროპოლიტი ეტლით წაბრძანდა აკაკის სახლში, სადაც დათვალიერა აკაკის ბინა, მისი სახლის ეკლესია, ინახულა აკაკის სახლში მისი ღრმად მოხუცებული და ანა, ისაუბრა მასთან და შემდეგ სადილად წაბრძანდა თავად-გიორგი დაეითის ძე წერეთელთან, სადაც იმ ღამეს დარჩა. მეორე დღეს საწირავად და დასათვალიერებლად წაბრძანდა ჯრუჭის მონასტერში, ჯრუჭის მონასტერში რომ ემზადებოდა წასასვლელად, სახრეის მოქალაქეებმა და ბაზარში მცხოვრებლებმა სთხოვეს მის მეუფებას, რომ 31 ოქტომბერს ისევე სახრეში გამობრუნებულიყო და მათ დასლოცავად კიდევ შეესრულებია საღმრთო წირვა, რაც კიდეც აღსრულდა. 30 ოქტომბერს დილის 9 საათზე ხალხი მოაწყდა გარეშემო სოფლებიდან ჯრუჭის მონასტერს. მის მეუფებას ჰიმჭირის კარებში მიეგება მონასტრის წინამძღვარი იღუმენი მამა პაველ და მეტად გრძნობიერი სიტყვით მიმართა. სიტყვის დასასრულ იევრაის ღვთისმშობლის ხატი მიართვა მიტროპოლიტს; იმ დღეს მრავალი სამღვდელოების თანაწირველობით მისი მეუფება მწირველი ბრძანდებოდა სიმონ და დავით მიტროპოლიტების სულის მოსახსენებლათ, რომელნიც ჯრუჭის მონასტერში არიან დამარხულნი. ნაწირვებს მისმა მეუფებამ იქადაგა. წირვის დაეწერეს სახრეებიდან თაბადები სიმონ და გიორგი დავითის ძენი და სხვანი წერილები. ქადაგების შემდეგ დაეით მიტროპოლიტის სალდაფზე პანაშვიდიც გადაიხადა მწყემსთავარმა. სხვათა შორის მისს მეუფებას სახრეიდგან მოყვა ქუთაისიდგან წამოსული ჩვენი სახოგადო მოღვაწე ტრიფონ ჯაფარიძე, რომელმაც დაწერილებით გადგაცნო ჯრუჭის ძველი მონასტერი და სისტემატიურად გვიჩვენა და გაგვიმარტა სხვა და სხვა ნივთები და ხატებზე და ქვებზე წარწერები, გვაჩვენა აგრეთვე მონასტრის ძველი ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია რამოდენიმე საუკუნის ხელით ნაწერი ქალაღდის და ტყავის სახარებანი და სხვადასხვა საღმრთო საეკლესიო წიგნები. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო რა, რადგანაც 5—6 თვის მეტი არ არის, რაც მამა პაველ ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა და ამ მოკლე დროში იმდენი გაუკეთებია, რომ მას ჯერ მეტი არ მოეთხოვება. იმ დამეს მიტროპოლიტი ანტონ ჯრუჭის მონასტერში დარჩა; ბერების სადგომი—სენაკები დათვალიერა, მონასტრის ყველა შენობები ინახულა, ინახულა ეგრეთვე მონასტრის სასმელი წყალიც, ეგრედ-წოდებული „ანდრიას წყარო“. მეორე დღისთვის საწირავად მოემზადა და 31 ოქტომბერს, დილით ადრე გამომშვიდობა მონასტრის წინამძღვარს და ძმებს და წაბრძანდა სახრეში თავის კრებულით და თანხლებული სამღვდელოებით. სოფელ სარგებში რომ გავიარეთ, სოფლის წარმომადგენლები და სარგების ეკლესიის შემაკეთებელი კომიტეტი შემოგვგებენ დასხთხვეს, რომ ეკლესია გზაზეა და ინახულოთო; თუმცა მისი მეუფება საწირავად მიეჩქარებოდა სახრეში, მაგრამ ფარი არ უთხრა და ინახულა ეკლესიაც; ეკლესიაზე ხალხს დარიგება და ლოცვა-კურთხევა უბოძა. სრული 10 საათი იყო, რომდესაც სახრეში მრავალი ხალხი დახვდა და ნაწირვებს კი მეტად შინაარსიანი და გრძნობიერი ქადაგება წარმოსთქვა, თუ როგორი როლი ითამაშა საქართველოს გაჭრილ-გაკრულებაში 16 წლის უმანკო ქალწულმა ნინომ და როგორი მაგალითი მისცა მან ჩვენ ქართველ ქალებს სარწმუნოების მხრით. ნაწირვებს მისმა მეუფებამ დალოცა ხალხი და გაემგზავრა იქვე საჩხერის ორკლასიანი სამრევლო შკოლის შენობაში, სადაც მას დახვდა შეკრებილი ზემო იმერეთის სამღვდელობა. მისს მეუფებას სიტყვით მიეგება ღვდელი ჩხეიდამური ბაბამიშვილი, რომელმაც მთახსენა ეკლესიის მშენებლობის ისტორია და განაცხადა ეკლესიის მშენებლობის დროს ეკლესიის გრძნობიერი სიტყვით და დარიგებით მიეგება მისი მეუფება ალაგლობიერი მტოვრები მოხუცებული ინტელიგენტი თავადი დავით იენაშვილ ძე ლეონიძე. რომელსაც მადლობა შესწირა მისმა მეუფებამ და დარიგება და ლოცვა-კურთხევა უბოძა დამსწრე სახოგადოებას. 2 ნოემბერს მისი მეუფება ღილით გაემგზავრა ქუთაისს.

მღვ. ბესარიონ ვაშაძე.

ვაჟა ფშაველას სამკითხველოს (მესხეთის ქუჩა) მკითხველთა საყურადღებოთ.

ორი წელი გადის მას შემდეგ, რაც ამ უბანში სამკითხველო არსებობს დღიდან დაარსებისა თვალყურს ვადევნებ, მაგრამ, არ იქნა და ზოგიერთმა მკითხველმა ახალგაზრდებმა სამკითხველოს წესრიგი ვერ შეიგნეს ვერა! ისე იქცევიან თითქოს არაფერი იცოდნენ წესრიგისა. მიუხედავად იმისა, რომ გამგე ყოველ ღონისძიების ხმარობს, რათა წესრიგი დაიცვას, სამკითხველოში მიზანს მაინც ვერ მიაღწია და ყოველივე ცდა უნაყოფოთ რჩება. ეს ახალგაზრდობაც ისე ბაასობს, თითქოს თავის საკუთარ სახლში იმყოფებოდეს. ასეთ ქცევით განსაკუთრებით თავს იჩენენ მოსწავლე ქალები. დროა ბატონო ქალებო, შეითვისოთ სამკითხველოს წესრიგი და თქვენ თუ არ გსურთ კითხვა სხვებს მაინც ნუ უშლით. თქვენდა საბედნიეროთო, მოიდინ ახლოს გაქეთ, გამობრძანდით და იმუსაიფეთ, რამდენიც გენებოთ,

ქართველი ქალი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ხიდისათვის ერთგულ დემოკრატიული პარტიის კომიტეტი ურჩევს მადლობას უცხადებს ქ-ნს ლიზა ბროკოშვილის ასულს გურგენიძისას, რომელმაც შემოსწირა ხსენებულ პარტიის ორგანიზაციის ფულათ ოცდა ხუთი მანეთი.

კომიტეტის თავმჯდომარის ამხ.

ბროკოშვილი მდივანი;

მ. თედორაძე.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია.

რკინიგზის მიმოსვლა.

დრო აღგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მადის.

თფილისიდან — დილის — 7 ს. 17 წ.
„ — სალამ. — 8 ს. 49 „
ბათომიდან — დღისით — 12 ს. 55 „
„ — ღამის — 11 ს. 42 „
„ — დილის — 10 ს. 20 „
ფოთიდან — დილის — 8 ს. 17 „
ტყიბულიდან — სალამოს — 6 ს. „
„ — დილის — 9 ს. 10 „
ხაშურიდან — დილის — 9 ს. 24 „

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ — დილის 8 ს. 25 „
„ — ღამის — 10 ს. 20 „
ბათომისაკენ — სალამოს — 7 ს. 1 „
„ — დღით — 1 ს. 40 „
„ — დილის — 6 ს. 20 „
ფოთისაკენ — დღისით — 3 ს. 18 წ.
ტყიბულისაკენ — დილის — 7 ს. 57 „
„ — დღით — 2 ს. 37 „
ხაშურისაკენ — დღით — 4 ს. 40 „

ექიმები

ა. მ. ასათიანი ლებერნის ქალურ-ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავთმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინის და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 8 ტელეფონი № 101.

ი. ჩარკეძოვი ქალაქის საავთმყოფოს ორდინატორი. იღებს ქანის, ვენერიულ და სიფილისიან ავთმყოფებს.

(სასხლის შესხმა „606“ და „914“) დილით 12½—2 სათ. საღამოს 6—8 სთ.

პუშკინის და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 8 ტელეფონი № 101.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში